თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №344735

ნომერი: AR176583

თარიღი : 29.08.2012

გაცემის თარიღი : 10.09.2012

გაცნობის თარიღი : 13.09.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ჭავჭავაძე , N 5ა , (ნაკვ.11/048) ;

ქ.თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზირი #17

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლალი კახიძე პ/ნ 01006000539

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ლაურა თეთრაშვილი
- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ლალი კახიძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01006000539

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : ნ-997
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 29.10.2007

ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ 2007 წლის 29ოქტომბერს ქ. თბილისში, სექტორი-ვაკე, ჭავჭავაძის გამზ. #5ა-ში, მოქ. ლალი კახიძის კუთვნილმიწის ნაკვეთზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე გაიცა ბრძანება #ნ/997 მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ და მშენებლობის სანებართვო მოწმობა #ნ/997-1 რომელსაც მოქმედების ვადა განესაზღვრა 2009 წლის01 ნოემბრამდე. აღნიშნულ ობიექტზე
ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2009 წლის 15 სექტემბერს #2815 ბრძანებით მშენებლობის დასრულების თარიღში შევიდა ცვლილება, კერძოდ მშენებლობის დასრულების თარიღად მიეთითა „ნებართვა ძალაშია 01 ნოემბერი 2012“, ხოლო 2011 წლის 13 დეკემბერს # 01/3379 ბრძანებით შეთანხმდა კორექტირებული არქიტექტურული პროექტი ფასადების გარეშე.

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში 2012 წლის 29 აგვისტოს შემოვიდა მოქ. ლალი კახიძის, #AR176583
ელექტრონული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რომლის საფუძველზეც განმცხადებელი ით ხოვს 2007 წლის 29 ოქტომბერს გაცემულ #ნ/997 ბრძანებასა და #ნ/997-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობაში, მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილებების განხორციელებას.
სამსახურმა განიხილა აღნიშნული საკითხი და გამომდინარე იქიდან, რომ განმცხადებლის მოთხოვნა და განცხადებაზე თანდართული დოკუმენტაცია აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების #57-ე მუხლის მოთხოვნებს გადაწყვიტა, რომ მოთხოვნა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 63-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1.დაკმაყოფილდეს მოქ. ლალი კახიძის 29.08.12 წლის #AR176583 განცხადება.
2.შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 29 ოქტომბერს გაცემულ #ნ/997 ბრძანებასა და #ნ/997-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობაში, კერძოდ „ნებართვა ძალაშია 01 ნოემბერი 2012 წ“,შეიცვალოს „ნებართვა ძალაშია 2014 წლის 01 მაისის ჩათვლით“
3. დაევალოს დამკვეთს ამ ბრძანების გამოცემიდან 6 (ექვსი) თვის ვადაში, უზრუნველყოს ობიექტის ფასადების გადამუშავება და დამატებით წარმოდგენა განხილვა-შეთანხმებისათვის
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 29.10.07 წლის #ნ/997 ბრძანებასა და #ნ/997-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობასთან ერთად.

• აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
• ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.